# „რეგიონული მედია ახალგაზრდების საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისათვის“

## საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის პროექტი

## ანგარიში

15 დეკემბერი, 2015 წელი

# მიზნები და ამოცანები



- ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება
- ახალგაზრდების აქტივობის გაზრდა
- ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა
- ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირება
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება, ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო კულტურის ასამაღლებლად

# მიზნები და ამოცანები

პროექტი ითვალისწინებდა ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირებას შემდეგ საკითხებზე:

- *დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩევლის მონაწილეობის მნიშვნელობა*
- *საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირება*
- *ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები*

საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, დამწყები ჟურნალისტებისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სპეციალური საინფორმაციო ბროშურის, რიფლეტისა თუ საგაზეთო ჩანართის მომზადება და გავრცელება.

# საინფორმაციო კამპანია განხორციელდა 8 (რვა) რეგიონში



# იმიტირებული არჩევნები ჩატარდა 4 (ოთხ) ქალაქში



# განხორციელებული აქტივობები

# სემინარი რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის

- 11-12 ივლისს ქუთაისში რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი **არჩევნები და მედია.**

- მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან სხვადასხვა ადგილობრივი, ბეჭდური და ონლაინგამოცემების რედაქტორები და ჟურნალისტები.

- სემინარის მიმდინარეობისას დაიგეგმა ასევე პროექტით გათვალისწინებული სპეციალური საგაზეთო ჩანართის მომზადება, გადანაწილდა სტატიებისა და გამოკითხვების თემები.

# სემინარი რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის

- სემინარის დასასრულს გამოცხადდა ორი კონკურსი: ერთი - ჟურნალისტებისათვის საუკეთესო საარჩევნო სტატიისა და მულტიმედიური პუბლიკაციის მომზადებაზე. მეორე - ახალგაზრდებისთვის, საუკეთესო საარჩევნო ესსეს, სლოგანისა და ფოტოს მოწოდებისათვის.

- პროექტის აქტივობების პოპულარიზაციისა და გაშუქებისათვის შევქმენით ფეისბუქგვერდი „რეგიონული მედია ახალგაზრდების საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისათვის“, სადაც გამოვაქვეყნეთ პროექტის აქტივობების ამსახველი სტატიები და ფოტო-ვიდეო მასალა.

# სემინარის თემატიკა

- **სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი (ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ინსტიტუციური უფლებამოსილებების გამიჯვნა);**

- **გამოხატვის თავისუფლება (ზოგადი მიმოხილვა საქართველოს კანონის ,,გამოხატვის თავისუფლების შესახებ" და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მიხედვით);**

- **საარჩევნო მოდელის მიმოხილვა**
  - არჩევნების ძირითადი პრინციპები
  - არჩევნების სახეები
  - საარჩევნო ადმინისტრაცია
  - არჩევნების მონიტორინგი  და მედია
  - წინასაარჩევნო კამპანია
  - არჩევნების დაფინანსება
  - ჯგუფური სავარჯიშო - კაზუსის ამოხსნა;

- **არჩევნების დღის პროცედურები**
  - კენჭისყრის დღე;
  - ჯგუფური სამუშაო /პრეზენტაცია);

# სემინარის თემატიკა

- **არჩევნებზე დაკვირვება და პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის;**
  - დამკვირვებლის უფლებები
  - საარჩევნო დავები/პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის
  - ჯგუფური სავარჯიშო -კაზუსის ამოხნა

- **საქართველოს პარლამენტის არჩევნები**
  - ზოგადი მიმოხილვა
  - საარჩევნო სუბიექტები/საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია
  - კენჭისყრის შედეგების შეჯამება
  - არჩევნების მეორე ტური
  - ხელახალი არჩევნები
  - რიგგარეშე არჩევნები
  - შუალედური არჩევნები
  - ჯგუფური სავარჯიშო

- **არჩევნების გაშუქება**
  - არჩევნებიდან არჩევნებამდე, არჩევნების ისტორია ჟურნალისტებისთვის - მთავარი მოვლენები და პოლიტიკური ფიგურები (დემონსტრირება პოლიტიკური პლაკატებით)
  - არჩევნების გაშუქების დროს ინფორმაციის მოპოვების მექანიზმები - ინფორმაციის მოძიება და წყაროები მედიისთვის სამთავრობო რესურსების გამოყენებით, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით და ინტერნეტით
  - საარჩევნო კანონმდებლობა და მედიის როლი - არჩევნების მონიტორინგი და მედია (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით)
  - პოლიტიკური კამპანიები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ეთიკური სტანდარტები მედიისთვის.

# სემინარი რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის









# სემინარი რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის










# სემინარი რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის









# პირველი საგაზეთო ჩანართი

- 2015 წლის ივლისის ბოლოს პროექტის მონაწილე რეგიონული გამოცემების მონაწილეობით მომზადდა პირველი ნომერი, ოთხგვერდიანი საგაზეთო ჩანართი „მედია და ახალგაზრდა ამომრჩეველი“.

- ჩანართი დაიბეჭდა 20000 ტირაჟით და გავრცელდა შემდეგი რეგიონული გაზეთების სადისტრიბუციო ქსელში:

- ***იმერეთი*** - *„პოსტსკრიპტუმი“, “ახალი გაზეთი“, “ჩემი ხარაგაული“*
- ***გურია*** -*“გურიანიუსი“, “გურიის მოამბე“, “ალიონი“,“ლანჩხუთი+;*
- ***აჭარა*** - *“ბათუმელები“;*
- ***ქვემო ქართლი*** -*“დიდგორელები“;*
- ***სამხრეთ საქართველო*** - *„სამხრეთის კარიბჭე“;*
- ***სამეგრელო*** - *„მთავარი თემა სამეგრელოში“;*
- ***კახეთი*** - *“კახეთის ხმა“, “სპექტრი“;*
- ***სვანეთი*** - *გაზეთი “სვანეთი“.*

# პირველი საგაზეთო ჩანართი

ჩანართის PDF-ფაილები და ინფორმაცია მისი გამოსვლისა და გავრცელების შესახებ გამოქვეყნდა შემდეგი რეგიონული გამოცემების ვებგვერდებზე:




- *გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“* - psnews.ge,
- *გაზეთი „ახალი გაზეთი“* - newpress.ge,
- *გაზეთი „კახეთის ხმა“* - knews.ge,
- *გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“* - sknews.ge,
- *გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“;*
- *ინტერნეტგამოცემები* - qartli.ge, kkpress.ge *და* okribanews.ge.

# საგაზეთო ჩანართების გავრცელება

- პროექტის პერიოდში სულ გამოიცა 4 ოთხგვერდიანი საგაზეთო ჩანართი *„მედია და ახალგაზრდა ამომრჩეველი“*
- ჩანართები პერიოდულად იდებოდა 14 რეგიონულ გამოცემაში და ვრცელდებოდა მათ ადგილობრივ სადისტრიბუციო ქსელში
- *სულ გამოიცა და საქართველოს რვა რეგიონში გავრცელდა* 80000 *სპეციალური საგაზეთო ჩანართი*

# საგაზეთო ჩანართები



მედია და ახალგაზრდა
ამომრჩეველი
№1
ახალგაზრდები არჩევნების შესახებ
ეს უნდა იცი



მედია და ახალგაზრდა
ამომრჩეველი
№3
მაჟორიტარული ოლქების გათანაბრება – რესურსების წყალში გადაყრა თუ კვალიფიციური დეპუტატების არჩევა



მედია და ახალგაზრდა
ამომრჩეველი
№2
არჩევანი – ქალებს!

„მხოლოდ კაცის თვალით დანახული რეალობა ვერ იქნება სრულყოფილი"



მედია და ახალგაზრდა
ამომრჩეველი
№4
ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტებში დაბრუნების მოტივაცია უნდა გაუჩნდეთ
„პრობლემის ძირითადი არსი სამოქალაქო განათლების დაბალ ხარისხში მდგომარეობს"

# საგაზეთო ჩანართების გავრცელება









# საგაზეთო ჩანართების გავრცელება






# საგაზეთო ჩანართების გავრცელება









# საგაზეთო ჩანართების გავრცელება









# საარჩევნო გზამკვლევი და რიფლეტი

- აგვისტოს თვეში პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფმა იმუშავა საარჩევნო გზამკვლევის და რიფლეტის მომზადებასა და გამოცემაზე.

- მომზადდა და დაიბეჭდა სარეკლამო რიფლეტი, რომელიც ახალგაზრდებისთვის საარჩევნო კონკურსის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას და ასევე - საკმაოდ მოცულობითი ბროშურა, რომელიც ახალგაზრდებს საარჩევნო თემატიკაზე, უფლებებსა და პროცედურებზე მაქსიმალურად დაწურულ ინფორმაციას აწვდის.

- ტექსტები მომზადებულია მარტივი და პოპულარული ენით.

- რიფლეტების და ბროშურების ნაწილი გადაეცა რეგიონული მედიის წარმომადგენლებს, ნაწილი კი დარიგდა ახალგაზრდებში და რეგიონებში გამართულ სემინარებზე.

# საარჩევნო გზამკვლევი და რიფლეტი










# სემინარები (საინფორმაციო შეხვედრები)

- 3 სექტემბერს საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებით სემინარი გაიმართა გორში. სემინარის ორგანიზებასა და ახალგაზრდების შეკრებაში პარტნიორობა გაგვიწია ასოციაციის წევრმა მედიასაშუალებამ, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა საბა წიწიკაშვილმა
- 12 სექტემბერს ანალოგიური სემინარი გაიმართა ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის რუსთავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. ამ სემინარის ორგანიზებაში პარტნიორობა გაგვიწია ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა მანონი ბოკუჩავამ
- ოქტომბრის თვეში ასოციაციის ორგანიზებით ორი შეხვედრა გაიმართა: ფოთში და ლანჩხუთში. ამ შემთხვევაშიც ადგილებზე პარტნიორობა გაგვიწიეს ჩვენი ასოციაციის წევრი მედიაგამოცემების ხელმძღვანელებმა: ფოთში - ინგა გვასალიამ „მთავარი თემა სამეგრელოში"; ლანჩხუთში - ია მამალაძემ და დარეჯან ბერძენიშვილმა („გურიანიუსი")

# სემინარი გორში
# 3 სექტემბერი









# ფოთი









# რუსთავი









# ჩოხატაური









# იმიტირებული არჩევნები

- ნოემბერსა და დეკემბრის დასაწყისში კი ორდღიანი სემინარი და იმიტირებული არჩევნები გაიმართა ოთხ საუნივერსიტეტო ქალაქში: *ბათუმში, ახალციხეში, თელავსა და ქუთაისში. ტრენერები - იურისტები: ქეთევან მამამთავრიშვილი და პაატა ცნობილაძე.*
- ქუთაისში ასევე ჩატარდა სემინარი აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის თემაზე „როგორ გავაშუქოთ არჩევნები“. ტრენერი - მედიაექსპერტი ეკა ფირცხალავა.
- სემინარის მონაწილეებს სამახსოვროდ დაურიგდათ საინფორმაციო მასალები და გადაეცათ სერტიფიკატები.

# ბათუმი









# ახალციხე









# თელავი









# ქუთაისი









# ქუთაისი (ჟურნალისტების ტრენინგი)









# პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა

- 14 დეკემბერს რეგიონული მედიის ასოციაციამ გამართა პროექტის „რეგიონული მედია ახალგაზრდების საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისთვის" შემაჯამებელი შეხვედრა და პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

- ასოციაციის თავმჯდომარემ, ია ბობოხიძემ და პროექტის დირექტორმა ნატო გუბელაძემ წარმოადგინეს შემაჯამებელი ანგარიში.

- პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, ხოლო კონკურსის ნომინაციებში - საუკეთესო ბეჭდური და ონლაინ სტატია საარჩევნო თემატიკაზე - გამარჯვებისათვის დაჯილდოვდნენ შემდეგი რეგიონული გამოცემების ჟურნალისტები:

- ***ნინო კაპანაძე - გაზეთი „ჩემი ხარაგაული";***
- ***გიორგი გირკელიძე და ჟანა მეგრელიშვილი - გაზეთი "გურიანიუსი" და „21-ს ქვევით";***
- ***ნატალია ცისკარიშვილი - გაზეთი „კახეთის ხმა"***
- ***ნინო ბექაური - გაზეთი „დიდგორელები"***

- ახალგაზრდებისათვის გამოცხადებულ ესსების კონკურსში კი გაიმარჯვა ბათუმელი სკოლის მოსწავლის **ანა დოლიძის** ესსემ **„არჩევნები და მოქალაქე"**

# პროექტის სტატისტიკა

**საარჩევნო თემატიკაზე ტრენინგი ჩაუტარდათ:**

- საქართველოს 25 რეგიონული გაზეთის წარმომადგენელს და 30-ზე მეტ დამწყებ ჟურნალისტს;
- საქართველოს რვა რეგიონის 300-ზე მეტ ახალგაზრდას;
- იმიტირებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოთხი ქალაქის 150-მდე სტუდენტმა და სკოლის მოსწავლემ;
- გამოიცა 4 ოთხგვერდიანი საგაზეთო ჩანართი, საერთო ტირაჟი - 80 000 ცალი, რომელიც პერიოდულად  ვრცელდებოდა 14 რეგიონული გაზეთის მიერ.
- 80000 საგაზეთო ჩანართით საარჩევნო საკითხებზე ინფორმაცია მიიღო მინიმუმ 160000-მა ადამიანმა;
- გამოიცა საარჩევნო გზამკვლევი - 2000 ცალი;
- რიფლეტი - 3000 ცალი

# პროექტის მედიაგაშუქება

პროექტის აქტივობებს აშუქებდა როგორც რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი 14 გაზეთი და მათი ინტერნეტგამოცემები, ასევე რეგიონული ტელეკომპანიები:

- **იმერეთი -** „პოსტსკრიპტუმი", „ახალი გაზეთი", „ჩემი ხარაგაული", ინტერნეტგამოცემა www.okribanius.ge
- **გურია -** "გურიანიუსი", „გურიისმოამბე", „ალიონი", „ლანჩხუთი+;
- **აჭარა -** 'ბათუმელები";
- **ქვემო ქართლი -** „დიდგორელები"; ქვემო ქართლის საინფორმაციო პორტალი www.kkpress.ge
- **შიდა ქართლი -** პორტალი „ www.qartli.ge"
- **სამხრეთ საქართველო -** „სამხრეთის კარიბჭე"
- **სამეგრელო -** „მთავარი თემა სამეგრელოში"
- **კახეთი -** „კახეთი სხმა", „სპექტრი"
- **სვანეთი -** გაზეთი „სვანეთი".
- **ადგილობრივი ტელე-რადიო კომპანიები:**

ქუთაისში - ტელეკომპანია „რიონი", რადიო „ძველი ქალაქი", ახალციხეში - ტელეკომპანია „მეცხრე არხი".

# პროექტის მედიაგაშუქება






# პროექტის მედიაგაშუქება






# პროექტის მედიაგაშუქება






# პროექტის მედიაგაშუქება






# პროექტის მედიაგაშუქება






# გმადლობთ ყურადღებისთვის!

GRMA
საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი